



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 18 ივნისი

**დისციპლინური საქმე №20/20-1
მოსამართლე ---- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის თაობაზე

----- 2020 წლის 20 თებერვლის №20 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე ---- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 28 თებერვლის №165/19-03 წერილით მოსამართლე ---- ეცნობა №20 საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. იმავე წერილით მოხდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, ----, შრომითი დავებისათვის გათვალისწინებული სპეციალური წესების უგულველყოფით, უარი უთხრა ---- სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მოსამართლეს ერთი მიზეზი აქვს აჩემებული და ამ მიზეზით არ იღებს სარჩელს განსახილველად. ამით, მოსამართლე უზღუდავს ---- სამართლიანი სასამართლოს უფლებას და თავისი საქციელით უკარგავს ადამიანებს რწმენას სამართლიანობაში.

1.2. საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლე ---- დაარღვია შრომითი დავების განსახილველად კანონმდებლობით დაწესებული ვადები. გარდა ამისა, მხარეს განჩინება სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ ჩაბარდა 2 თვის დაგვიანებით. მოსამართლე შეგნებულად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 29 ოქტომბერს ----- წარმომადგენელმა ---- სარჩელით მიმართა ---- სასამართლოს მოპასუხის, ---- მიმართ და მოპასუხის მიერ ---- სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სამი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება და ---- სამუშაოზე აღდგენა მოითხოვა. საქმე (----) განსახილველად მოსამართლე ---- გადაეცა.

სასამართლო გაეცნო სარჩელს და თანდართულ მასალებს და მიიჩნია, რომ საქმე იყო სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსის. ამდენად, 2019 წლის 04 ნოემბრის განჩინებით ----- სარჩელი, განსჯადობის წესების დაცვით, გადაეცა ----- რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად (მოსამართლე, -----).

2019 წლის 16 დეკემბრის განჩინებით (-----) მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მოსამართლემ განმარტა, რომ სარჩელის შინაარსიდან არ იყო ცხადი, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნდა სარჩელის ავტორს აღიარებითი მოთხოვნის მიმართ. გარდა ამისა, არ იყო დაზუსტებული ასანაზღაურებელი განაცდურის ოდენობა და არ იყო წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის სათანადო ოდენობით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2019 წლის 16 დეკემბრის განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ კერძო საჩივრით გასაჩივრა -----.

2020 წლის 20 იანვრის განჩინებით (მოსამართლე, -----) კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2020 წლის 20 მარტის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დარჩა ----- რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინება სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დისციპლინური სამართალწარმოება, ვერ იქნება განხილული როგორც ზემდგომი ინსტანცია და ვერ მოხდება მსჯელობა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. დისციპლინური წარმოების ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური გადაცდომების შესახებ არსებული სავარაუდო ფაქტების შეფასება და ის ვერ შეცვლის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიშის შესაბამისად (CommDH(2012)10, 23.02.2012) „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80).

დისციპლინური სამართალწარმოების კრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან

დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.“ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.“

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, „სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.“ ამავე კოდექსის 178-ე მუხლში ამომწურავადაა მითითებული ის ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში მითითებული პირობების დარღვევით. ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას.“

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლე ----- უთხრა უარი სარჩელის ავტორს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო მიეღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თაობაზე და ამდენად, ის მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების შინაარსი სრულადაა დამოუკიდებელი მოსამართლის შენაგან რწმენაზე. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ----- 2020 წლის 20 თებერვლის №20 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე ----- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

2. გაგრძელდეს №20/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე ---- მიმართ, საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი